ავთო ჯოხაძე

მსგავსი იზიდავს მსგავს

(ქართული გადასახედიდან დანახული რუსეთი)

ქართულ-რუსულ პოლიტიკურ ურთიერთობებს კეთილმეზობლურს ნამდვილად ვერ დაარქმევ კაცი. ჩრდილოელ გიგანტთან მოუგვარებელი ურთიერთობა კვლავაც ჩვენი ხელისუფლების უმთავრეს საგარეოპოლიტიკურ თავსატეხად რჩება. რუსეთთან თანამშრომლიბის ჩვენი სურვილი სავსებით ბუნებრივია, მაგრამ პარტნიორული ურთიერთობის აწყობას საშველი არა და არ ადგება; ეს ისტორიულადაც ასე იყო:

კავკასიის და წინაზაზიის სამხედრო-პოლიტიკური დომხალიდან თავის დაღწევის მოსურნე ქართული სამეფოები ცარისტულ რუსეთს ყველაფერს სთავაზობდნენ საკუთარი სუვერენიტეტის გარდა, მაგრამ მათი ინიციატივები, როგორც წესი, კრახით თავდებოდა; ქართველი პოლიტიკოსები თავიანთი გათვლების და მოლოდინების სრულიად საპირისპირო შედეგებს იმკიდნენ. ვითარება აშკარად პარადოქსული იყო: საქართველო მხოლოდ მაშინ რჩებოდა მოგებული, როცა ხელს იღებდა „ერთმორწმუნე" ჩრდილოელ მეზობელთან დაახლოების მცდელობაზე და უაღრესად აგრესიული მუსლიმანური იმპერიების პოლიტიკური ნების დამყოლი ხდებოდა. მართალია, საბოლოოდ, სტრატეგიული თვალსაზრისით, ასეთი კომპრომისი ეროვნული და კულტურული იდენტობის მკვეთრი ცვლილებების მტკივნეულ საფრთხეს შეიცავდა, მაგრამ, როგორც ტაქტიკური მანევრი და უკანდახევა, ის კეთილისმყოფელი შედეგების მომტანი გამოდგებოდა ხოლმე. საილუსტრაციოდ ქართლში მაჰმადიანი მმართველების 112 წლიანი პერიოდის (1632-1744) გახსენებაც საკმარისია, როცა ქვეყანაში შედარებით მშვიდობა და წესრიგი დამყარდა და ქართული *კულტურის* ერთგვარ „რენესანსსაც" კი ჰქონდა ადგილი (ვახტანგი, სულხან-საბა, დავით გურამიშვილი და სხვები). მართალია, კულტურულ გამოცოცხლებას ქართული სამეფო-სამთავროების რუსულ იმპერიაში სრული ინკორპორაციის მერე უფრო ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს წარმატება გაუმართლებელი მსხვერპლის ანუ ქართული სახელმწიფოს სრული გაუქმების ფასად იქნა მიღწეული.

ისტორიკოსები იმასაც წერენ, რომ რუსეთთან შეერთებით, ომებით გაწამებულმა ხალხმა ბოლოსდაბოლოს მოისვენაო, მაგრამ ეს მოსაზრება სიმართლეს როდი შეეფერება: მტერმა მოისვენოს ისე, როგორც რუსეთის იმპერიის გუბერნიად ქცეული საქართველო იყო მაშინ მოსვენებული!!!

მაგრამ მთავარ სათქმელს დავუბრუნდეთ.

რა იყო ზემოხსენებული პარადოქსის მიზეზი? ანუ რატომ დააყენა ყველაფერი ყირაზე რუსული მუნდირის კავკასიის პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენამ? რუსეთთან დღესდღეისობითაც მოუგვარებელი ურთიერთობების პირობებში ეს კითხვები სავსებით ბუნებრივი ჩანს.

საზოგადოდ, საერთაშორისო პრობლემებს პოლიტიკური ლიდერები წყვეტენ, მეფეების და ცარების ხანაში კი პიროვნული ფაქტორის როლი კიდევ უფრო დიდი იყო. და ამის მიუხედავად, სულმოკლეობა იქნებოდა ვახტანგ VI-ს და ერეკლე II-ს დროინდელი პოლიტიკური კატასტროფები ქვეყნის წინაშე მართლაც რომ განუზომელი დამსახურების მქონე ამ პიროვნებებისათვის გადაგვებრალებინა; პერსონალიებს დანაშაული ნაკლებად მიუძღვის. და მაინც, ამ საკითხზე დაფიქრებული ცნობილი ისტორიკოსი, ზ. ავალიშვილი მხრების აჩეჩვით კითხულობდა: რატომ უშვებდნენ ელემენტარულ შეცდომებს წინა აზიის გაიძვერულ დიპლომატიაში გამობრძმედილი და უმცდარი პოლიტიკური ალღოს მქონე ვახტანგი და ერეკლე, როცა *საქმე რუსეთზე მიდგებოდაო?* მართლაც, *რატომ იყვნენ (და არიან ხოლმე) ქართველი პოლიტიკოსები რუსეთის მიმართ ასე ხშირად არაადეკვატურები?* ამ კითხვის პასუხი შორს

სცილდება ამა თუ იმ პოლიტიკოსის შეზღუდულობა-მიხვედრილობის ფარგლებს და მთელი ჩვენი საზოგადოების სოციალურ-კულტურულ თუ მენტალურ სიბრტყეშია საძიებელი.

მოსკოვიტების არენაზე გამოჩენას ქართულ ელიტაში იმთავითვე აზრთასხვაობა და დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა; საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ ქართულმა საზოგადოებამ რუსეთი სრულიად არაადექვატურად აღიქვა, რაც – ზემოთაც ვთქვით – სოციალურ-კულტურულმა მიზეზებმა განაპირობა, უფრო ზუსტად კი – ჩვენი ელიტის *გაორებულმა* პოლიტიკურმა მსოფლმხედველობამ და ზეპური საზოგადოების ფსიქიკის გახლეჩილობამ.

ქართული მენტალობის ფორმირება ორი დიამეტრალურად განსხვავებული ევოლუციური პროცესის შედეგად მოხდა:

მეცამეტე საუკუნემდე ქართული საზოგადოება დასავლეთევროპული ფეოდალური ტიპის საზოგადოების იდენტური იყო და საქართველო ტიპოლოგიურად დასავლეთევროპულ ცივილიზაციას განეკუთნებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მის სოციალურ ინფრასტრუქტურაში პიროვნული თავისუფლების იდეა იყო რეალიზებული, - მართალია, რთული, პატრონყმული იერარქიის *უფლებამოვალეობების* სისტემის სახით, მაგრამ – მაინც. აკი თანამედროვე დასავლური ცივილიზაციაც ამ პატრონყმული სისტემის თანდათანობითი ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა და პიროვნების თავისუფლების მაგარანტირებელი საზოგადოებრივი წყობის სახე მიიღო.

ქართული საზოგადოების სოციალური მეხსიერება დასავლური ცივილიზაციისადმი კუთვნილების ამ ხსოვნას გენეტიკურად ატარებს და ჩვენი პოლიტიკური ელიტის მომეტებული ნაწილი დღესაც დარწმუნებულია, რომ ქართველი ხალხი ცივილიზაციური იდენტობის თვალსაზრისით დასავლეთს განეკუთვნება. ევროპარლამენტის ტრიბუნიდან ზურაბ ჟვანიას წარმოთქმული ცნობილი სიტყვები: *ვარ ქართველი, მაშასადამე – ვარ ევროპელი,* ამის დასტურია.

მაგრამ მეცამეტე საუკუნიდან საქართველოს სოციალური ევოლუცია დიამეტრალურად საპირისპირო გზით წარიმართა. აღმოსავლეთის მიმართულებით ამ შავდაუკუღმა ხეტიალის მიზეზებს აქ ვერ გამოვუდგებით; ავღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მეცამეტე საუკუნიდან მოყოლებული ქართული სოციალ-პოლიტიკური სისტემა ბატონყმურ მონობად გადაგვარდა, რაც სრულიად გამორიცხავდა პიროვნების თავისუფლების იდეის რეალიზებას. საქართველოს სამეფო-სამთავროები ტიპიურ „აზიატურ" ქვეყნად ჩამოყალიბდნენ. ისლამურ იმპერიებთან **„ქართველობის"** შენარჩუნებისთვის უმაგალითო ომების გამსწორებელი მეფე-მთავრები დროთა განმავლობაში **„გათათრდნენ".**

ტერმინი „ქართველობა" ეთნო-ნაციონალურ კუთვნილებაზე მეტად, სპეციფიკურ სამეურნეო-პოლიტიკურ სისტემას აღნიშნავდა და სწორედ იმ აღმოსავლურ სოციალ-პოლიტიკურ წყობას უპირისპირდებოდა, რომელსაც ტერმინი „თათრობა" გამოხატავდა.

ასეთი „გააზიატების" მიუხედავად, ქართული პოლიტიკური ელიტა ერთი ნიშნით მაინც მკვეთრად გამოირჩეოდა მთელი დანარჩენი აღმოსავლეთის ელიტებისგან – ის ძირითადად მაინც *ქრისტიანული* იყო. პოლიტიკური სისტემის და მისი შესაბამისი მენტალობის ნიშნით საქართველო საერთაღმოსავლური სტიქიის ჩვეულერივი შემადგენელი გახდა, მაგრამ რელიგიური კუთვნილებით ის მაინც ევროპას ენათესავებოდა.

და ეს იმის მიუხედავად, რომ ქართულმა ეკლესიამაც ევოლუციის იგივე ტრაექტორია მოხაზა, რაც ქართულმა სამეფოებმა. თავის დროზე ქართული ქრისტიანობა – და ამას ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა – სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლებით კათოლიციზმთან, ანუ დასავლურ ქრისტიანობასთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე ბიზანტიურ-აღმოსავლურ ორთოდოქსიასთან. იმავე მეცამეტე საუკუნიდან მოყოლებული კი ვითარება ამ სფეროშიც თანდათან შეიცვალა და ქართული ეკლესია ბერძნულს დაუახლოვდა, მერე კი სულაც რუსული მართლმადიდებლობის ქართულ ნაირსახეობად იქცა, ანუ სავსებით აღმოსავლურ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ეკლესიასაც ის უნდა დამართოდა, რაც მთელ დანარჩენ საზოგადოებას, ეკლესია ხომ თვითონ იყო

საზოგადოება: მას არა მარტო მკაფიოდ სტრუქტურირებული ეკონომიკური პროფილი, არამედ სახელმწიფო-პოლიტიკური წყობაც გააჩნდა; ბოლოსდაბოლოს, ეკლესიასაც და სამეფოსაც ერთი და იგივე ადამიანები შეადგენდნენ და ა.შ... და ა.შ...

მაგრამ ისევ მთავარ სათქმელს დავუბრუნდეთ.

მაშ, იმის მიუხედავად, რომ გვიან შუა საუკუნეებში ქართველები „გათათრდნენ" და მათი სოციალურ-პოლიტიკური ღირებულებების სისტემა მონობა-მორჩილების და არა პიროვნული თავისუფლების და თადასწორობის პრინციპზე გაეწყო, ისლამური იმპერიების საერთო ფონზე, ქრისტიანობის (არსებითად კი საკუთარი ეროვნულ-კულტურული იდენტობის) შენარჩუნებისათვის ხმალამოღებული ქართული საზოგადოება თავს საერთოქრისტიანული სამყაროს წინაბურჯად თვლიდა და ისლამურ სტიქიას დონ-კიხოტივით მარტოდ შთენილი ებრძოდა. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ უთანასწორო ომში სისხლისგან დაცლილმა ქვეყანამ, როცა მოკავშირეს, მერე კი სულაც მფარველს, დაუწყო ძებნა, ხელები ევროპისაკენ გაიშვირა. ქრისტიანული ევროპა და უსჯულოების წინააღმდეგ ჯვაროსნებთან უნისონში მოპოვებული გამარჯვებები საქართველოში არასოდეს ეძლეოდა დავიწყებას, მით უმეტეს, რომ ჩვენი „ევროპული" (პარტონყმობისდროინდელი) წარსული ქართული სახელმწიფოს ძლიერების ზენიტს, დავით აღმაშენებლის და თამარის ხანას, ემთხვეოდა - ძველი დიდების ხსოვნა არ გვასვენებდა.

ირან-ოსმალეთი გვახრჩობდა, თორემ ჩვენი ნება რომ ყოფილიყო, ქართველები მთელ დუნიას დავანახებდით, რომ „ევროპელები" ვიყავით – აზიაში. ტყუილად როდი ატარებდა ერეკლე მეფე სპარსულ ჩალმასთან ერთად დასავლურ მუნდირს. თავს დატეხილი ყველა უბედურების მიუხედავად, „გათათრებული" ქართული საზოგადოება ბედს არ ურიგდებოდა და ისლამურ იმპერიებს საღვთო ომის სიფიცხით ებრძოდა, - ქრისტიან მოკავშირეს კი სულის ამოხდამდე ელოდა.

ჰოდა, როცა კავკასიის პოლიტიკური თეატრის სცენაზე ევროპულმუნდირიანი რუსის სალდათი გამოიჯგიმა, ქართულ ელიტას ძველი, ჯვაროსნული ვნებები გაუცხოველდა. ოსმალეთის იმპერიის დაშლის და პონტოს სახელმწიფოს აღდგენის ვენურ-გერმანულმა იდეამ და იმპერატრიცა ეკატერინას კარზე შემუშავებულმა მისმა ალტერნატივამ - „ბერძნულმა პროექტმა" – ხომ სულ ცეცხლზე ნავთი დაასხა... ქრისტიანულ რუსეთზე დაყრდნობით მუსლიმანური იმპერიების მარწუხებისგან თავის დაღწევის და მათ მიერ მიტაცებული ტერიტორიების გამოხსნის სურვილი მთელ ქართულ საზოგადოებას აფორიაქებდა, *მაგრამ ამ მიზნის მიღწევა, ლამის ავტომატურად, ქვეყნის სხეულში ღრმად ჩასობილი ბატონყმურ-აზიატური კლანჭებისაგან გათავისუფლებასაც მოასწავებდა.*

მუსლიმანურ იმპერიებთან საღმრთო ომის ქარცეცხლში გახვეული ქართული ზეპური საზოგადოება თავისი იმ ძველი დიდების აღდგენაზე ოცნებობდა, როცა გაშლილი დროშების ფრიალით შედიოდა იერუსალიმში. ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს სავსებით გათვითცნობიერებული ჰქონდათ მეცამეტე საუკუნის საქართველოს საბედისწერო მარცხის და ბედის ბორბლის უკუღმა დატრიალების ძირეული, სოციალ-პოლიტიკური მიზეზები. ქვეყნის გამოხსნა-აღდგენისათვის ისლამურ იმპერიებთან მათი ხუთასწლოვანი ომი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის რეფორმირებისათვის შიგა ომის ფონზე წარიმართა; „ქართველობის" გადარჩენა და ქვეყნის შინაგანი მონობისაგან გათავისუფლება, ფაქტიურად, ერთი და იგივე იყო. შიგასოციალური მონობისაგან ქვეყნის გათავისუფლებას, ანუ მისი *წყობის რეფორმირებას* ყველა დიდი სახელმწიფო მოღვაწე მთელი ამ ხნის განმავლობაში ფანატიკური სიჯიუტით ცდილობდა. *მუსლიმანური იმპერიების ბოლომოუღებელი აგრესიის მთავარი მაპროვოცირებელი მიზეზიც ეს გახლდათ:* ირან-ოსმალეთის მმართველებს მშვენივრად მოეხსენებოდა, რასაც წარმოადგენდა საქართველო არცთუ შორეულ წარსულში და იმასაც მშვენივრად ხვდებოდნენ, რომ საქართველოს აწინდელ სისუსტეს სათავადოების ის ბატონყმური მოდელი განაპირობებდა, რომლის რეფორმირების ცდასაც ისინი გააფთრებული ეწინააღმდეგებოდნენ. ასეთი უმძიმესი

საგარეო პრესინგის გამო რეფორმატორები ამაოდ დაშვრნენ. საქართველომ ვერ მოიცილა აზიური ჰიპოსტასი, შინაგანად ვერ გაექცა აზიას და შესაბამისად ვერც ევროპულ მოკავშირეს შეიძენდა. მაგრამ ქრისტიანული რუსეთის გამეზობლებით სამეფო ხელისუფლებას სათავადოების სისტემის მოშლის და ევროპულ-ფრანგული წესრიგის (სამეფო კარს შემუშავებული ჰქონდა ქვეყნის „ფრანციულად" რეფორმირების მოდელი) დამყარების იმედი ჩაესახა. სულ ტყუილად!!!

სათავადოს ბატონ-ყმური სისტემის სათავეში მოკალათებული ჩალმიან-ჩიხტიკოპიანი თავადაზნაურობა ყოველი ღონისძიებით ეწინააღმდეგებოდა არსებული წეს-რიგის მოშლას. გამარჯვებაც მათ დარჩათ: სათავადოს სისტემის მოშლის საქმეში რუსების გამოყენების ერეკლესეული იმედი უტოპიური იყო, რადგან რუსეთი თვითონაც ბატონყმური და ღრმად აზიატური იმპერია გახლდათ და სოციალური რეფორმიზმი არაფრად ეპიტნავებოდა. ქართველი თავადი კი რუსეთის დიდმპყრობელური ინტერესების ბუნებრივი მოკავშირე გამოდგა. აზიატური ჰიპოსტასის თავიდან მოცილებისათვის ბრძოლაში რუსეთი ისევე უვარგისი, უფრო მეტიც, მტრული ძალა იყო, როგორც ირან-ოსმალეთი. მაგრამ *ქრისტიანობის საბურველმა და იმან, რომ რუსეთი პეტრე პირველის მერე პოტიომკის სოფელივით – გარეთ ატლასი რომ იყო და შიგნით ტალახი - „ევროპულად" გამოიყურებოდა, მაინც აცდუნა აზიური ალყის გარღვევის მოწადინე ქართველი „რაინდები"...*

საქართველოს შიგასოციალური განხეთქილება რუსეთმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ისედაც მომაკვდავი ქართული სახელმწიფოს სრული განადგურება გადაწყვიტა. გიორგიევსკის ცნობილი ტრაქტატის (1783) მერე რუსეთმა ფარული თუ ღია მოქმედების წყალობით ქართველ წარჩინებულთა რიგებში რუსეთის გუბერნიად საქართველოს გადაქცევის მომხრეები გაიმრავლა.

გამაოგნებელია რუსეთის ამ მოქმედებაზე ირან-ოსმალეთის მესვეურთა რეაქცია; ცხენს რომ ვერაფერი დააკლეს, უნაგირს დაუწყეს მტვრევა: ოსმალეთის ძირგამომთხრელი და წამქეზებლური მოქმედებების შედეგად სულ რაღაც ათიოდე წელიწადში ქართლ-კახეთის მოსახლეობა განახევრდა!!! ხოლო აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის მერე – ქვეყანა განადგურდა. არადა ეს ყველაფერი წყალს მხოლოდ რუსეთის წისქვილზე ასხამდა!!! თუ ერეკლე რამეში შეცდა, მხოლოდ იმაში, რომ ირან-ოსმალეთის მმართველი წრეების იდიოტობა ვერ გაითვალისწინა. მათი აბსოლუტურად წინდაუხედავი მოქმედების შედეგად ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანესი პლაცდარმი რუსებმა თოფის გაუსროლელად დაიკავეს. ირან-ოსმალეთმა თვითონ მოუსუფთავა მოედანი რუსეთს.

ერეკლე დამარცხდა, რადგან ბატონყმური („გათათრებული") ელიტა რუსეთს შეეკრა ქვეყნის რეფორმირებისათვის (და მაშასადამე, „თათრობისგან" თავის დაღწევისთის) მებრძოლი სამეფო კარის წინააღმდეგ და ერეკლეს დამხობა განიზრახა. „მარკოზაშვილის დარბაზელების" მოწყობილი შეთქმულების გარდა, ეს განზრახვა კრწანისის ომის წინაც გამოვლინდა, როცა გათათრებულმა ელიტამ ჩაშალა სამობილიზაციო პროცესი და ერეკლე 2 000-კაციანი გვარდიელის ამარა დატოვა ირანის შაჰის 35 000-იანი ჯარის წინაშე.

კრწანისის ტრაგედიამ რუსებს საშუალება მისცა აბსოლუტურად უპრობლემოდ მოეხდინათ საქართველოს ანექსია. რუსეთთან ამ „შეერთებით" სინამდვილეში ქართულმა ზეპურმა საზოგადოებამ შინაგანი გაორებისაგან გამოწვეულ მრავალსაუკუნოვან ტანჯვას დააღწია თავი და ქვეყანამაც „მოისვენა" (განისვენა).

ოღონდ მარტო რუსეთი როდი გახდა საქართველოს წერა-მწერალი. ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, როგორ ეხმარებოდნენ ნებსით თუ უნებლიედ რუსეთს თავისი ჩანაფიქრის რეალიზაციაში კონკურენტი ქვეყნების, ირან-ოსმალეთის გამოთაყვანებული მესვეურები. მანამდე კი ოსმალეთის იმპერიაში სამცხის ინკორპორაცია მოხდა, რაც რუსულ-ქართული დრამის წინასახეს ჰგავდა. ოსმალეთმა საქართველოს ერთი მესამედი თავის საფაშოდ აქცია. და ეს მოხდა არა მხოლოდ და არა იმდენად ოსმალეთის ძლევამოსილების მიზეზით, რამდენადაც იმის გამო, რომ გათათრებულმა (ამჯერად უკვე ბოლომდე, ანუ რწმენითაც გამუსლიმანებულმა) სამცხის ათაბაგებმა რეფორმატორი და ძველი დიდების აღდგენისათვის მებრძოლი მეფეების თანადგომას, ხონთქრის ქვეშევრდომობა არჩიეს; **მსგავსი იზიდავს მსგავს!!!**

მაგრამ, რუსეთის თემას დავუბრუნდეთ და ერთხელაც განვმარტოთ, რატომ ახდენდა რუსეთი ასეთ მომნუსხვნელ შთაბეჭდილებას და რატომ იზიდავდა ანდამატივით ქართველი წარჩინებულების უმრავლესობას.

პოლიტიკური პარამეტრებით რუსეთი კლასიკურ აღმოსავლეთს განასახიერებდა. გათათრებულ ქართულ თავადაზნაურობას ქვეშეცნეულად (ე.ი. სინამდვილეში) აღმოსავლეთთან ინტეგრაცია სურდა (მსგავსი იზიდავს მსგავს), ინტეგრაციის ეს პროცესი ისლამურ აღმოსავლეთთან კარგა შორსაც იყო წასული. მაგრამ თუ ირანის შემთხვევაში რელიგიური სხვაობა ისლამურ იმპერიასთან კანონიერი ქორწინების სანქციას არ იძლეოდა, ოსმალეთის შემთხვევაში, ეს ქორწინება შედგა, რადგან ათაბაგებმა და სამცხის წარჩინებულებმა სჯული, ეს ხელისშემშლელი რუდიმენტი – თავიდან მოიცილეს და ისლამი მიიღეს. ქრისტიანი რუსეთის შემთხვევაში კი დამაბრკოლებელი რელიგიური ფაქტორი საერთოდ არ არსებობდა. ამ მხრივ რუსეთი, რა თქმა უნდა, სხვა მეზობლებზე მიმზიდველი ჩანდა. შინაგანად გაორებულ ქართულ თავადაზნაურობას „ევროპაში დაბრუნებაც" სურდა და „აზიაში დარჩენაც", რუსეთის **ევრაზიული** იმპერია კი სწორედ ამ წინააღმდეგობრივი მისწრაფების შესატყვის სახელმწიფო სისტემას განასახიერებდა. რუსი ჩინოვნიკის და ჯარისკაცის მუნდირმა ქართულ ზეპურ საზოგადოებას ქრისტიანული დასავლეთის ნაირსახეობის ილუზია შეუქმნა და მისი „ევროპელობის" ამბიცია დააკმაყოფილა, სინამდვილეში კი ამ მუნდირის მიღმა „ევროპის ჟანდარმი" ანუ დასავლეთის სრული ანტიპოდი იმალებოდა, მაგრამ ეს გათათრებულ საზოგადოებას ისევე არ ანაღვლებდა, როგორც ბრმას – სანთლის გაძვირება. ასე რომ, როცა ზემოთ რუსეთის მიმართ გამოვლენილ არაადექვატურობაზე ვლაპარაკობდით, იმათ ვგულისხმობდით, ვისაც სოციალური რეფორმა ანუ „ევროპაში დაბრუნება" ეწადა. რეფორმისტები ძირითადად პოლიტიკური პირამიდის ზედა ეშელონებში, ანუ სამეფო კარზე იყრიდნენ თავს, ხოლო თავადები და სამეფო სახლის გვერდითი, არასატახტო წარმომადგენლები (ბატონიშვილები) უმეტეს შემთხვევაში ანტირეფორმისტების მარაქას ქმნიდნენ. და ამის მიუხედავად, შინაგანი გაორების გამო, ევროპის ნოსტალგია მათაც მოაწვებოდა ხოლმე. ერთ მომენტში ამ ნოსტალგიამ ლამის საყოველთაო ხასიათი მიიღო და რუსული დესპოტიის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების იდეა დაბადა. ეს შეთქმულება დეკაბრისტების შეთქმულების ქართულ-პატრიოტულ ვარიაციას წარმოადგენდა. ხანგრძლივი წინასწარი მომზადების მერე, 1832 წელს, შეთქმულები აჯანყებისათვის მზად იყვნენ, მაგრამ აჯანყების დაწყება... ვერ გაბედეს: შეთქმულებს თავისი აზიატური წარსულის დანაშრევი აბრკოლებდა გაბედულად დაძრულიყვნენ იმ პროექტის მიმართულებით, რომელიც მათ საქართველოს ევროპული რეფორმების გეგმის სახით შეიმუშავეს, მაგრამ შეთქმულების განზრახვა მაინც იმის უტყუარი მოწმობა იყო, რომ რუსეთთან შეერთებით დასავლეთთან ინტეგრაციის აკვიატებული სურვილი ისევ აუხდენელ ოცნებად დარჩენილიყო.

1801 წლის კატასტროფის შემდეგ ქართულმა საზოგადოებამ ტრანსფორმაციის რთული და გრძელი გზა განვლო, რუსული იმპერიის წიაღში ის თანდათან მოეგო გონს. მაგრამ ამავე დროს ქართველი ხალხის პოლიტიკური ორიენტირების საკითხი კიდევ უფრო ღრმად ჩაეხვა რუსულ-ქართული ურთიერთობის ბედის ბორბალში.

გვაქვს კი ჩვენი პოლიტიკური ორიენტირები ბოლომდე ნათლად გააზრებული თუნდაც დღეს? ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა ევროატლანტიკური სივრცისკენ მიისწრაფის ასეთი კითხვის დასმა თითქოს მკრეხელობას ჰგავს, მაგრამ გარწმუნებთ, ამ საკითხზე მსჯელობა ღირს.

ამის შესახებ მეორე წერილში ვისაუბრებთ.

24 საათი, 12 აპრილი 2006 წელი

16.01.2006